ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის

ოქმი

საჯარო განხილვა გაიმართა 2021 წლის 21 დეკემბერს. დაწყების დრო -16 საათი, დამთავრების დრო - 17[45] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა
საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს. „ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ"საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე უნდა შეიზღუდოს დაწესებულების მიერ საჯარო ღონისძიებების ორგანიზება. ამდენად, ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოხდა შემჭიდროვებული შემადგენლობით, კერძოდ: საზოგადოების მხრიდან საჯარო განხილვას ესწრებოდნენ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს წევრები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები. საჯარო განხილვა განხორციელდა „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/ო ბრძანებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვით

განხილვას **ესწრებოდნენ:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს წევრები, ქალაქ ფოთის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ვასილ თოდუა, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს წევრები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.
   /მომხს: გოჩა კურდღელია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
   /მომხს: ვასილ თოდუა -ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/
   /თანამომხს: თორნიკე კირთაძე - საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე.

/მომხს: გოჩა კურდღელია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/მომხს: ვასილ თოდუა -ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

/თანამომხს: თორნიკე კირთაძე - საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვასილ თოდუამ წარმოადგინა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 20,792.0 ათ. ლარით განისაზღვრა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებს კვლავ ინფრასტუქტურის განვითარება, განათლების, კულტურის, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე კირთაძემ ისაუბრა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულ ახალ პროგრამებზე, ამასთანავე, აღნიშნა, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გაითვალისწინა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნები.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ გააკეთა მიმოხილვა 2020 წლის ბიუჯეტით განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ და ისაუბრა 2021 წლის ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებზე.

აზრი გამოთქვეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ ილია ქვარცხავამ, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს წევრებმა: გიგლა გვიჩიამ, დავით პაჭკორიამ, ირაიდა ფაციამ და დამსწრეთა შეკითხვები ძირითადად შეეხო ქალაქში არსებულ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი დარჯანიამ ისაუბრა საზოგადოებრიობის ჩართულობისა და აქტიურობის მნიშვნელობაზე ბიუჯეტის საჯარო განხილვის პროცესში. 2021 წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უახლოეს სხდომაზე დაამტკიცებს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ. (თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარე **ბექა ვაჭარაძე**